# იუზა (იოსებ) ზარდალიშვილი

იუზა (იოსებ) ზარდალიშვილი დაიბადა 1883 წლის 20 ნოემბერს, ქალაქ ქუთაისში. მამამისი, ფრანც ზარდალიშვილი ქუთაისის კათოლიკეთა სკოლის მასწავლებელი იყო. შვიდი წლისა იყო იუზა, მამა რომ გარდაეცვალა. 8 წლისა სკოლაში მიაბარეს, მაგრამ სამი წლის შემდეგ უსახსრობის გამო სასწავლებლიდან დაითხოვეს.

სასწავლებლიდან დათხოვნის შემდეგ ჯერ საშაქარლამოში მუშაობდა მამინაცვალთან, მოგვიანებით კი ბათუმში შეგირდად მოეწყო როტშილდის ქარხანაში. აქ მუშაობის დროს იუზა ზარდალიშვილის დღიური გასამრჯელო მხოლოდ 60 კაპიკს შეადგენდა. როტშილდის ქარხნიდან წამოსვლის შემდეგ მომავალი მსახიობი გემ „ცესარევიჩ გეორგიზე“ მოეწყო იუნგად. ამ გემს ბათუმიდან ოდესამდე მგზავრები გადაჰყავდა.

სცენაზე იუზა ზარდალიშვილი პირველად ბათუმის თეატრის სცენაზე გამოვიდა. მას პიესა „ედმონდ კინში“ უსიტყვო, მეზღვაურის როლი ჰქონდა. დასის ხელმძღვანელმა ლადო მესხიშვილმა ყურადღება მიაქცია და ქუთაისში მიიწვია იუზა ზარდალიშვილი. ორი წლის განმავლობაში იუზა თეატრის ყველა წარმოდგენაში მხოლოდ ეპიზოდურ როლებს ასახიერებდა, მაგრამ სწორედ აქ გამოავლინა ისეთი ნიჭი და შრომის უნარი, რომ მესამე სეზონში (1899-1900 წწ.) ლადო მესხიშვილმა მას ვალერიან გუნიას ახალ პიესაში „და-ძმა“ მთავარი როლი მიანდო. თავად პიესის ავტორი აღფრთოვანებული ამბობდა, უკეთესი ვერც წარმომედგინა ჩემი გმირიო. იუზა ზარდალიშვილი ქუთაისის თეატრში ჩამოყალიბდა მსახიობად ისეთი სცენის ოსტატების გვერდით, როგორებიც იყვნენ: ნუცა ჩხეიძე, ალექსანდრე იმედაშვილი, ანდრო მურუსიძე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი და სხვები.

1910 წლიდან იუზა ზარდალიშვილი თბილისის თეატრში გადავიდა. 1912 წელს ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ იუზა ზარდალიშვილი მსახიობ ვალერიან შალიკაშვილთან ერთად მოსკოვში, დიდ სამხატვრო თეატრში სასწავლებლად მიავლინა. მოსკოვში გამართულ პირველ ქართულ წარმოდგენაში იუზა ზარდალიშვილიც მონაწილეობდა. 1920-1922 წლებში იუზა ზარდალიშვილი თბილისის თეატრების კომისარი იყო, 1922-1925 წლებში კი ქუთაისის დრამატული თეატრის დასს ხელმძღვანელობდა, ხოლო შემდეგ, 1928 წლამდე ფოთის თეატრში მუშაობდა.

1921 წელს იუზა ზარდალიშვილის შუამდგომლობით, თბილისის ქართული დრამის თეატრს შოთა რუსთაველის სახელი ეწოდა.

1927-1928 წლებში იუზა ზარდალიშვილი კოტე მარჯანიშვილის დასში მუშაობდა მსახიობად. 1932 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით მას მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობის წოდება.

1937 წელს იუზა ზარდალიშვილმა ჩამოაყალიბა საკოლმეურნეო თეატრი, რომელიც დასავლეთ საქართველოს სოფლებსა და დაბებში მართავდა თეატრალურ წარმოდგენებს.

იუზა ზარდალიშვილმა ორმოცი წლის განმავლობაში თეატრში დაუვიწყარი სახეები შექმნა: ედგარი (იულიამ შექსპირის „მეფე ლირი“), ჰამლეტი (უილიამ შექსპირის „ჰამლეტი“), მუროვი (ალექსანდრ ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“), იაგო (უილიამ შექსპირის „ოტელო“) და სხვ. იგი წერდა კიდეც, გადმოაქართულა რამდენიმე პიესა. ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა სტატიებს. საინტერესო მოგონება დაუტოვა სახელმწიფო თეატრალური მუზეუმის ფონდს.

იუზა ზარდალიშვილი 1943 წლის 13 მაისს გარდაიცვალა.

## იუზა ზარდალიშვილის პირადი საარქივო ფონდი

### ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. იუზა ზარდალიშვილის განცხადება, ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოსადმი, ქალაქ ქუთაისში ცნობათა კანტორის გახსნასთან დაკავშირებით.
1906 წ. 28 სექტემბერი. ხელნაწერი. ნაბეჭდი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 4 გვ.

2. სახალხო განათლების კომისარიატის რეკომენდაცია, ი. ზარდალიშვილის დრამატული თეატრების კომისრად დანიშვნასთან დაკავშირებით.
1921 წ. 5 აპრილი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე 1 გვ.

3. ქუთაისის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ იუზა ზარდალიშვილის სახელზე გაცემული მანდატი.
1922 წ. 13 ივლისი. ქუთაისი. ნაბეჭდი. 1 ც.

4. ი. ზარდალიშვილის რევკომის შენობაში შესვლის წიგნაკი.
1922 წ. სტამბური. ხელით შევსებული. 2 გვ.

5. ქუთაისის მაზრის განათლების განყოფილების გამგესთან დადებული პირობა ი. ზარდალიშვილის ქუთაისის სახელმწიფო დასში რეჟისორად დანიშვნასთან დაკავშირებით.
1923 წ. 1 მაისი. ნაბეჭდი. ასლი. 1 გვ.

6. ქუთაისის მაზრის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის ცნობა ქუთაისის განათლების განყოფილებისადმი, იუზა ზარდალიშვილის რეჟისორად დანიშვნასთან დაკავშირებით.
1923 წ. 11 მაისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

7. ი. ზარდალიშვილის მოწმობა, რომ იგი მუშაობს ქუთაისის სახელმწიფო დასში რეჟისორად და მსახიობად.
1923 წ. 26 მაისი. ქუთაისი. ნაბეჭდი. 1 ც.

8. საქართველოს კომპარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის მიმართვა ი. ზარდალიშვილისადმი, პირველი მაისის დღესასწაულის მომწყობ კომისიაში ჩართვასთან დაკავშირებით.
1924 წ. 21 აპრილი. ნაბეჭდი. 2 გვ.

9. ქუთაისის განათლების განყოფილების გამგესთან დადებული პირობა ი. ზარდალიშვილის ქუთაისის სახელმწიფო დასში გამგედ, რეჟისორად და მსახიობად დანიშვნის შესახებ.
1924 წ. 1 მაისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

10. ქუთაისის სამაზრო აღმასკომისა და განათლების განყოფილების მიერ ი. ზარდალიშვილის სახელზე გაცემული მოწმობა.
1924 წ. 20 მაისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

11. განცხადება (პირობა) იუზა ზარდალიშვილის ქუთაისის სახელმწიფო აკადემიური დასის გამგებლად, რეჟისორად და მსახიობად დანიშვნასთან დაკავშირებით.
პირი: თეიმურაზ ჭუმბურიძე.
1924 წ. 11 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ასლი. 2 გვ.

12. ჭიათურის მარგანეცის საექსპორტო საზოგადოება „ჩემოს“ წერილი იუზა ზარდალიშვილისადმი, ქართულ სცენაზე მოღვაწეობის 25 წლის აღნიშვნასთან დაკავშირებით.
1925 წ. 11 თებერვალი. ნაბეჭდი. 1 გვ.

13. ქართველ მსახიობთა სექციის საბჭოს დადგენილება ი. ზარდალიშვილის საიუბილეო მზადებასთან დაკავშირებით.
1926 წ. 18 იანვარი. მელანი. 1 გვ.

14. ი. ზარდალიშვილის ხელშეკრულება ქუთაისის თეატრის დასში კოლექტიურ მიღებასთან დაკავშირებით.
1926 წ. 30 აპრილი. ნაბეჭდი. 1 გვ.

15. სრულიად საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის მე-8 ყრილობის დელეგატის მანდატი, გაცემული ი. ზარდალიშვილის სახელზე.
1928 წ. 19 თებერვალი. თბილისი. სტამბური. ხელით შევსებული. 2 გვ.

16. ოპერის სახელმწიფო თეატრის მოწმობა ი. ზარდალიშვილის სახელზე მოსკოვის მცირე თეატრის გასტროლებთან დაკავშირებით.
1928 წ. 5 ივნისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

17. ქუთაისის მაზრის განათლების განყოფილების გამგეობასთან დადებული პირობა ი. ზარდალიშვილის ქუთაისის სახელმწიფო დასში მსახიობად დანიშვნასთან დაკავშირებით.
1930 წ. 3 სექტემბერი. სტამბური. ხელით შევსებული. წითელი მელანი. 2 გვ.

18. ცნობა ი. ზარდალიშვილის ქუთაისის სახელმწიფო თეატრში მსახიობად დანიშვნასთან დაკავშირებით.
1931 წ. 29 მაისი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 1 გვ.

19. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გაცემული წიგნაკი, იუზა ზარდალიშვილის საქართველოს სსრ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.
1932 წ. 5 დეკემბერი. სტამბური. ხელით შევსებული. ქართულ და რუსულ ენებზე, 1 ც.

20. ქუთაისის განათლების განყოფილების მიერ ი. ზარდალიშვილის სახელზე გაცემული მანდატი.
1935 წ. 20 ივნისი. ნაბეჭდი. 1 ც.

21. ქუთაისის პროფკავშირის საქალაქო კომიტეტის მიერ გაცემული წერილი ი. ზარდალიშვილისადმი.
1936 წ. 3 თებერვალი. ნაბეჭდი. 1 გვ.

22. ი. ზარდალიშვილის საკოლმეურნეო თეატრის ჩამოყალიბების გეგმა, ი. ზარდალიშვილისვე უარყოფითი ხასიათის მინაწერით.
1937 წ. 7 იანვარი. ნაბეჭდი. 1 გვ.

23. ცნობა ი. ზარდალიშვილის ქუთაისის კულტურის სახლში რეჟისორად მუშაობასთან დაკავშირებით.
1937 წ. 7 ივნისი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

24. ი. ზარდალიშვილის განცხადება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისადმი (ასლი), ქუთაისში მესხიშვილისა და აბაშიძის ქუჩების სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით.
1937 წ. 1 ივლისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

25. ი. ზარდალიშვილის განცხადება ქუთაისის ქალაქის საბჭოსადმი საცხოვრებელი ბინის მიღებასთან დაკავშირებით.
1937 წ. 20 ივლისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

26. ქუთაისის კულტურის სახლის დირექციის ცნობა ი. ზარდალიშვილის კულტურის სახლში რეჟისორად მუშაობის შესახებ.
1937 წ. 13 სექტემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

27. ი. ზარდალიშვილის განცხადება ქუთაისის სახელმწიფო თეატრის დირექტორისადმი ლექციის „ქართული თეატრის ისტორია“ წაკითხვასთან დაკავშირებით.
1939 წ. 26 ივნისი. ავტოგრაფი. ლურჯი და შავი მელანი. 2 ეგზ. 2 გვ.

28. ი. ზარდალიშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1939 წ. 27 ივნისი. ბლანკი. ხელით შევსებული. 4 გვ.

29. ი. ზარდალიშვილის ავტობიოგრაფია.
პირი: ვასო აბაშიძე, ვანო ფალიაშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, ლადო მესხიშვილი, დოდო ანთაძე.
1939 წ. 29 ივნისი. ქუთაისი. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.

30. ქ. ქუთაისის საქალაქო კომისიის სხდომის ოქმი, ოქტომბრის რევოლუციის 19 წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიების მომწყობ კომისიაში ი. ზარდალიშვილის შეყვანასთან დაკავშირებით.
1939 წ. 19 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.

31. ი. ზარდალიშვილის სიტყვა ამომრჩევლების წინაშე.
1939 წ. 24 დეკემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

32. ი. ზარდალიშვილის სიტყვა, წარმოთქმული ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს.
1939 წ. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

33. ი. ზარდალიშვილის სახელზე გაცემული მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატის ბილეთი.
1939 წ. სტამბური. ხელით შევსებული. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 გვ.

34. ი. ზარდალიშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1940 წ. 23 ოქტომბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. 4 გვ.

35. ი. ზარდალიშვილის მოკლე ავტობიოგრაფია.
პირი: ლადო მესხიშვილი, ვალერიან შალიკაშვილი.
1940 წ. 23 ოქტომბერი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 1 გვ.

36. ი. ზარდალიშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1940 წ. 23 ოქტომბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. 4 გვ.

37. ი. ზარდალიშვილის მოკლე ავტობიოგრაფია.
პირი: ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ვალერიან შალიკაშვილი.
1940 წ. 13 ნოემბერი. ავტოგრაფი. შავი მელანი. დაზიანებული. 2 გვ.

38. ი. ზარდალიშვილის ლექციების ცხრილი.
1941 წ. მარტი. ხელნაწერი. შავი მელანი. 3 გვ.

39. ი. ზარდალიშვილის ქუთაისის მოხალისეთა სახანძრო საზოგადოების წიგნაკი.
1941 წ. სტამბური. ხელით შევსებული. 2 გვ.

40. ი. ზარდალიშვილის ქუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრის წიგნაკი.
1943 წ. სტამბური. ხელით შევსებული. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 გვ.

41. ი. ზარდალიშვილის საშეღავათო წიგნაკი. ერთვის ფოტო.
უთარიღო. სტამბური. ხელით შევსებული. 1 ც.

42. ი. ზარდალიშვილის მონაცემები ქუთაისში პირველი თეატრის შენობის შესახებ (ავტორისეული ჩასწორებებით).
პირი: როტენბერგი, გაგარინი, გარჩაკოვი, ლევაშოვი, ვასო აბაშიძე, დემიან პაუკოვი.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. სამუშაო ვარიანტი. 14 გვ.

43. ი. ზარდალიშვილის მოკლე ავტობიოგრაფია.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. დაზიანებული. 2 გვ.

44. ი. ზარდალიშვილის ავტობიოგრაფიული ცნობები.
პირი: ნ. გვარაძე, მიხეილ ქორელი, ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, კოტერ მესხი, დოდო ანთაძე.
უთარიღო. ავტოგრაფი. ფანქარი. 6 გვ.

45. ი. ზარდალიშვილის ავტობიოგრაფია.
პირი: ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ვალერიან შალიკაშვილი.
უთარიღო. რვეული. ავტოგრაფი. მელანი. 1 ც. 5 გვ.

46. ი. ზარდალიშვილის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.
უთარიღო. სტამბური. 2 ეგზ. 1 გვ.

47. ი. ზარდალიშვილის მოკლე ავტობიოგრაფია.
პირი: ლადო მესხიშვილი, ვალერიან შალიკაშვილი.
უთარიღო. ნაბეჭდი. 1 გვ.

48. ბათუმის თეატრის 1912-1913 წლების სეზონის მასალები. ხელმძღვანელი: შ. დადიანი.
პირი: ა. ყალაბეგიშვილი, ვანო ბარველი, პლატონ კორიშელი, ანდრო მურუსიძე, ხარაზიშვილი, ელო ანდრონიკაშვილი, ნ. ჩაგუნავა, ვლადიმერ სარელი, ე. წუწუნავა, ს. ხურციძე, ზაქარია ურუშაძე, შ. გოგილაშვილი, ვ. მაჭარაშვილი, ვასო ურუშაძე, მ. მდივანი, ს. ბეჟანიშვილი.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. ფანქარი. 19 გვ.

49. ი. ზარდალიშვილის სიტყვა წარმოთქმული კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ქუთაისში ჩასვლასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ავტოგრაფი. ფანქარი. 3 გვ.

50. ი. ზარდალიშვილის ხელწერილი, პიესების „შრომის დეზერტირები“, „დამნაშავენი“, „ბიუროკრატები“, „დღითა და ღამით“ გადაცემასთან დაკავშირებით.
პირი: გრიშა ბურჯანაძე.
უთარიღო. ავტოგრაფი. შავი მელანი. 2 გვ.

51. ი. ზარდალიშვილის როლების მაჩვენებელი, ლითოგრაფიული ფურცელი.
უთარიღო. 3 ეგზ. 1 გვ.

## შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

## მოგონებები, სტატია

52. იუზა ზარდალიშვილის მოგონება ნინო ჩხეიძის შესახებ.
პირი: კოტე მესხი, მიხეილ ქორელი, ლადო მესხიშვილი, კოტე მარჯანიშვილი, დათიკო მხეიძე.
1937 წ. 16 იანვარი. ქუთაისი, რვეული. ავტოგრაფი. მელანი. 7 გვ.

53. ი. ზარდალიშვილის მოგონება „ქართული თეატრის ისტორიისთვის“.
1940 წ. ნაბეჭდი. 2 ეგზ. 276 გვ.

54. ი. ზარდალიშვილის მოგონება „ქართული თეატრის ისტორიისთვის“.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. ფანქარი. ქართულ და რუსულ ენებზე. 246 გვ.

55. ი. ზარდალიშვილის მოგონება მელიტონ ბალანჩივაძის შესახებ,
უთარიღო. ავტოგრაფი. რვეული, მელანი. 7 გვ.

56. ი. ზარდალიშვილის ფრაგმენტული მოგონებები ძმები ხარაზიშვილების თეატრთან დაკავშირებით.
პირი: ივანე ნაჭყებია, ივანე გველესიანი, ალიხანოვ-ავარსკი, სოლომონ ღულაძე, ლუკა ასათიანი, ისაკ პურადაშვილი, რ. ალავიძე, ვიქტორ ვიტუშინსკი, ალექსანდრ გაგარინი.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. ფანქარი. დაზიანებული. 3 გვ.

57. ი. ზარდალიშვილის მოგონება მიხაი ზიჩის შესახებ, „ვეფხისტყაოსნის" ცოცხალი სურათების წარმოდგენასთან დაკავშირებით.
პირი: ნ. წერეთელი, ბიძინა ჩოლოყაშვილი, მამია გურიელი, გიორგი შერვაშიძე, დავით დადიანი, ანტონ წულუკიძე.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 3 გვ.

58. ი. ზარდალიშვილის სტატია – ავტობიოგრაფიული ცნობები დიმიტრი ბაქრაძის შესახებ.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

59. ი. ზარდალიშვილის მოგონება მაქსიმ გორკის ქუთაისში სტუმრობისა და პიესის „ფსკერზე" დადგმასთან დაკავშირებით.
პირი: დავით ბაქრაძე, ალექსანდრე არაბიძე, შალვა დადიანი, დავით მიქელაძე, ბეგლარიძე (ახოს-პირელი).
უთარიღო. ნაბეჭდი. 3 გვ.

60. ი. ზარდალიშვილის მოგონება ივანე და ზაქარია ფალიაშვილების შესახებ.
პირი: ვანო გალუსტოვი, პეტრე ფალიაშვილი, ლადო აღნიაშვილი.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.

61. ი. ზარდალიშვილის ფრაგმენტული ხასიათის ჩანაწერები ლადო მესხიშვილის შესახებ.
პირი: მ. ქილარჯიშვილი, გიორგი თუთბერიძე, ვანო მურვანიშვილი, ნიკო გვარაძე, ა. მურუსიძე, გრიგოლ ჩარკვიანი, მიშა მარჯანიშვილი, დიტო უზნაძე, ნ. ნანეიშვილი, კოტე მესხი, ლისოვსკი, იაკობ ჩიმაკაძე, კატკოვი.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. ფანქარი. 15 გვ.

62. ი. ზარდალიშვილის ცნობები მიხეილ და ნიკოლოზ შარაბიძეებსა და „ქართველ მომღერალთა საზოგადოებაზე".
უთარიღო. ავტოგრაფი. ფანქარი. 1 გვ.

63. ი. ზარდალიშვილის მოგონება, შიო მღვიმელის სადღესასწაულო დილასთან და ალ. სუმბათაშვილის პიესის „ღალატის" დადგმასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ავტოგრაფი. ფანქარი. 1 გვ.

64. ი. ზარდალიშვილის მოგონება ქუთაისის აკადემიური გუნდის დაარსებასთან დაკავშირებით.
პირი: ილიკო აბაშიძე, მელიტონ ბალანჩივაძე, ბართლომე კუხიანიძე.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.

65. ი. ზარდალიშვილის მოგონება 1918 წელს ქუთაისის დასის დასავლეთ საქართველოში გასტროლებთან დაკავშირებით.
პირი: ვასო აბაშიძე, სიო ჭანტურიშვილი, ცაცა ამირეჯიბი, ბ. ჩხეიძე, შალვა ღამბაშიძე, ვ. ბარველი, მ. ფანიაშვილი, შალვა ჯაფარიძე, გულელი, ისიდორე რამიშვილი.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

66. ი. ზარდალიშვილის მოგონება ქუთაისის სახელმწიფო თეატრთან დაკავშირებით.
პირი: შალვა დადიანი, გიორგი თუთბერიძე, ვალერიან გუნია, ვიქტორ გამყრელიძე, თინა ჩარკვიანი, მიხეილ სარაული, ემანუილ აფხაიძე, ნინო გამყრელიძე, ლ. ღლონტი... ლ. ღლობერიძე, ა. ყალაბეგიშვილი, თამარ აბაშიძე, ცაცა ამირეჯიბი, მიხეილ ჭიაურელი, გრიშა კოსტავა, ანდრო მურუსიძე, ვარლამ ჩხიკვაძე, ნუნუ მაჭავარიანი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, შალვა ბოჭორიშვილი, ელენე ციმაკურიძე, დ. ძნელაძე, ვ. ბარველი, შოთა მანაგაძე, ნიკოლოზ გოძიაშვილი, ზაქარია ურუშაძე.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

67. ი. ზარდალიშვილის მოგონება ქუთაისის სახელმწიფო თეატრთან დაკავშირებით.
პირი: დოდო ანთაძე, ლ. ბერია, ალექსანდრე იმედაშვილი, ცაცა ამირეჯიბი, თ. ღვინიაშვილი, ა. მურუსიძე, შ. ხონელი, ვ. ჩხიკვაძე, ნ. ოქრიაშვილი, მამრიკიშვილი, ყურაშვილი, გრიგოლ კოკელაძე, ოქრიაძე, გვენცაძე, მ. ფხაკაძე, ვ. მეგრელიშვილი, გ. ნაცვლიშვილი, მ. გელაშვილი, სალაღიშვილი, ლ. შენგელია. გრიგოლ სულაშვილი, თ. კიკნაძე, ჭავჭანიძე, ვაჩნაძე, თ. ტატიშვილი, მ. სვანიძე, ს. გაბუნია, ს. ოყრეშიძე, დ. ცხადაძე, კანდელაკი, ჯიბუტი, ბ. მჭედლიშვილი, ი. ნინიაშვილი, ს. ჭელიძე, დ. კაკაბაძე, ა. გაფრინდაშვილი, კ. სანაძე, ი. მდივანი, თ. ვახვახიშვილი, გ. მარჯანიშვილი, ი. ნაჭყებია, შ. პაპიაშვილი, ა. ავაგჯანოვი, კ. ხარაზიშვილი, ლ. ასათიანი, ქორელი, ვ. აბაშიძე, ა. ჩხარტიშვილი, ვასილ კუშიტაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, შალვა დადიანი, შოთა მანაგაძე, კ. გოძიაშვილი.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 18 გვ.

68. იუზა ზარდალიშვილის მოგონება ზუბალაშვილის შესახებ, ბაქოს თეატრთან დაკავშირებით.
უთარიღო. ავტოგრაფი. ფანქარი. 1 გვ.

69. ი. ზარდალიშვილის მოგონება სერგო ქუთათელაძეზე ქართული ცირკის წარმოშობასთან დაკავშირებით.
პირი: საშა წულუკიძე, პეტრე ესიკოვსკი, ო. შნეიდერი, კოსტა მაისურაძე, ჯუნკინი.
უთარიღო. რვეული. ავტოგრაფი. მელანი. 6 გვ.

70. ი. ზარდალიშვილის მოგონება ხელოვნების მოღვაწეებზე.
პირი: ანტონ ლორთქიფანიძე, ვარლამ ჩხიკვაძე.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

71. ი. ზარდალიშვილის მოგონება ძმები ხარაზიშვილების თეატრის შენობასთან დაკავშირებით.
პირი: კონსტანტინე ხარაზიშვილი, ლუკა ასათიანი.
უთარიღო. ავტოგრაფი. ფანქარი, 2 გვ.

72. ი. ზარდალიშვილის მოგონება ივანე და ზაქარია ფალიაშვილების და ოპერის „აბესალომ და ეთერის" შესახებ.
პირი: პეტრე მირიანაშვილი, ვანო სარაჯიშვილი.
უთარიღო. რვეული, ავტოგრაფი. მელანი. ფანქარი. 5 გვ.

73. ი. ზარდალიშვილის მოგონება ძმები ხარაზიშვილების თეატრთან დაკავშირებით.
პირი: ვიქტორ ვიტუშინსკი, ლუარსაბ ლოლუა.
უთარიღო. რვეული, ავტოგრაფი. ფანქარი. 5 გვ.

74. ი. ზარდალიშვილის მოგონება ხარაზიშვილების თეატრთან დაკავშირებით.
პირი: ვარლამ ჭილაძე, ვიქტორ ვიტუშინსკი, ლუკა ასათიანი, კ. მესხი, ნიკოლოზ გამრეკელი, ლუარსაბ ლოლუა, იაკობ ჩიმაკაძე, ლ. მესხიშვილი, იოსებ და ადოლფ მილიარები, სოლომონ ღულაძე, ვ. პურადაშვილი, ი. გველესიანი, რ. ალავიძე.
უთარიღო. რვეული. ავტოგრაფი. მელანი. ფანქარი, 31 გვ.

75. ი. ზარდალიშვილის მოგონება ბაღდათში, ვ. გუნიას მიერ გადმოკეთებული პიესის „კაკო ბლაჭიაშვილი" დადგმასთან დაკავშირებით.
პირი: ვასო აბულაძე, ვლადიმირ მაიაკოვსკი, დავით კაკაბაძე.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.

76. ი. ზარდალიშვილის მოგონება სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით.
პირი: ვასო აბაშიძე, ლ. მესხიშვილი, დათიკო ჩარკვიანი, პაშა შოთაძე, შ. ხონელი, შალვა დადიანი, ვლადიმერ გუნია, კ. მესხი, ს. გოგოლაშვილი, ვლადიმერ მაისურაძე, მოსე ქიქოძე, ნ. ყიფიანი, კირილე ლორთქიფანიძე, ძმები ხარაზიშვილები, აკაკი დვალი, ქ. ლიპარტიანი, ინდიკო სვანიძე, ივანე გველესიანი, ი. ჩიმაკაძე, ნ. გამრეკელი, კ. ბალანჩივაძე, დია ჩიანელი.
უთარიღო. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. მელანი. ფანქარი. 14 ეგზ. 20 გვ.

## ჩანაწერები

77. იუზა ზარდალიშვილის ბლოკნოტში ჩაწერილი კოტე მარჯანიშვილის ბრძანების ტექსტი იუზა ზარდალიშვილის ქუთაისის დასისა და სცენის ადმინისტრატორის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.
1928 წ. 15 ნოემბერი. კ. მარჯანიშვილის ავტოგრაფი. ფანქარი, 6 გვ.

78. ი. ზარდალიშვილის მიერ ჩამოწერილი ქუთაისის ქართული თეატრის დასის შემადგენლობის სია. 1934-1935 წლების სეზონი.
1935 წ. 15 მარტი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

79. კითხვა-პასუხი იუზა ზარდალიშვილსა და ვასილ ბალანჩივაძეს შორის, ქუთაისის თეატრის მოკლე ისტორიასთან დაკავშირებით.
პირი: ვასო აბაშიძე, კოტე მესხი, კირილე ლორთქიფანიძე, ანტონ ლორთქიფანიძე, თ. ლეჟავა, ნესტან ყიფიანი, კ. გამრეკელოვი, კოტე მარჯანიშვილი, ვ. გაბიჩვაძე, ონისიმე მინდელი, მელიტონ ბალანჩივაძე, ნიკო გაბაშვილი, პ. კვიცარიძე, ნიკო მაღრაძე, ილო მაღრაძე, მაკრინე ჩიკვაიძე, ეფრო კლდიაშვილი, მ. კლდიაშვილი, მ. მაღრაძე, ზაქარია ფალიაშვილი, მაკო საფაროვა-აბაშიძე, კ. ყიფიანი, ალექსანდრე მოხევე (ყაზბეგი), ნებიერიძე, ნიკო ბადრიძე, ეფემია მესხი, ნატო მესხი, მიხეილ ჯინოევი, გალაქტიონ ბოლქვაძე, გრიშა აბაშიძე, მარო ჩხეიძე, ლადო მესხიშვილი, აკაკი ფაღავა.
1937 წ. 16 იანვარი. ავტოგრაფი. მელანი. 7 გვ.

80. ი. ზარდალიშვილის მიერ დაწერილი ქუთაისის თეატრის მსახიობის მარგო აჭარაძის დახასიათება.
1940 წ. 1 ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

81. ი. ზარდალიშვილის ჩანაწერები სხვადასხვა პირთა შესახებ.
პირი: ონისე დადიანი, ეროფინე ჯაფარიძე, სერგო ჭელიძე, იაკობ ჩიმაკაძე, მოსე ქიქოძე, ივანე პურადაშვილი, ვარლამ ჭილაძე, არტემ ავაგჯანოვი, შურა პაპიაშვილი, ივანე ნაჭყებია, ნაუმ ტურკი, ივანე გველესიანი, ძმები ხარაზიშვილები.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 3 გვ.

82. ი. ზარდალიშვილის ზოგადი ცნობები ქუთაისის თეატრის ისტორიის შესახებ.
პირი: დემიან პაუკოვი, ილია ჭავჭავაძე, ივანე მაჩაბელი, მიხაი ზიჩი, ნინო წერეთელი, მამია გურიელი, გიორგი შერვაშიძე, მაშო კლდიაშვილი-ძნელაძე, ეფრო კლდიაშვილი, კოტე მესხი, ვასო აბაშიძე, ეფემია მესხი, ი. რატილი, მელიტონ ბალანჩივაძე, ანტონ ლორთქიფანიძე, ელენე ყიფიანი.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.

## წერილები

83. იუზა ზარდალიშვილის წერილი კანდელაკისადმი ბიოგრაფიის გამოგზავნასა და „ქუთაისის თეატრის“ ისტორიის სახელმძღვანელოს დაწერასთან დაკავშირებით.
1937 წ. 8 ივლისი. ქუთაისი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

84. დოდო ანთაძის წერილი იუზა ზარდალიშვილისადმი, პიესა „Дети Ванюшина“-ს („ვანიუშინის შვილები“) გამოგზავნასა და თარგმანთან დაკავშირებით.
პირი: გ. სულიაშვილი, მამრიკიშვილი, წულაძე.
1925 წ. 8 აგვისტო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

85. აკაკი ფაღავას მადლობის წერილი იუზა ზარდალიშვილისადმი.
1926 წ. 6 დეკემბერი. ბათუმი. ავტოგრაფი. წითელი ფანქარი, 1 გვ.

86. თამროს (იუზა ზარდალიშვილის მეუღლის) პირადი ხასიათის წერილი იუზა ზარდალიშვილისადმი.
1929 წ. 26 მარტი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 3 გვ.

87. შალვა დადიანის პირადი ხასიათის წერილი იუზა ზარდალიშვილისადმი.
პირი: შალვა ჯაფარიძე, ნუნუ მაჭავარიანი.
1929 წ. 6 ივლისი. ავტოგრაფი. წითელი მელანი. 3 გვ.

88. ე. ჩერქეზიშვილის წერილი ი. ზარდალიშვილისადმი, გასტროლების ორგანიზებასა და ვოდევილთან „გაქურდული მოაგარაკენი“ დაკავშირებით.
1930 წ. 27 იანვარი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 2 გვ.

89. ი. პურადაშვილის წერილი ი. ზარდალიშვილისადმი, მოგონებათა წიგნის დაწერასა და თეატრთან დაკავშირებული ცნობების მიწოდების შესახებ.
1934 წ. 4 დეკემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

90. ი. გრიშაშვილის წერილი ი. ზარდალიშვილისადმი რუსთაველის აფორიზმების წიგნის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1936 წ. 3 აპრილი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 3 გვ.

91. დ. ჩხეიძის წერილი ი. ზარდალიშვილისადმი, ე. ჩერქეზიშვილის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
1937 წ. 15 აპრილი. თბილისი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 1 გვ.

92. დოდო ანთაძის წერილი ი. ზარდალიშვილისადმი ახალი თეატრალური სეზონის გახსნასთან დაკავშირებით.
1937 წ. 21 სექტემბერი. ავტოგრაფი. ფანქარი, 1 გვ.

93. ნადია სირბილაძის წერილი ი. ზარდალიშვილისადმი, სოხუმში გასტროლებთან დაკავშირებით.
1938 წ. 25 ივნისი. ავტოგრაფი. ფანქარი, 1 გვ.

94. შ. ჯაფარიძის წერილი ი. ზარდალიშვილისადმი აფიშების გამოგზავნასთან დაკავშირებით.
პირი: დ. სარჯველაძე.
1938 წ. 16 აპრილი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 1 გვ.

95. შ. დადიანის წერილი ი. ზარდალიშვილისადმი 1920-1921 წლების ქუთაისის სათეატრო სეზონთან დაკავშირებით.
პირი: იაკობ ფანცხავა, ვიქტორ ვატარაძე, შალვა ჯაფარიძე, ვასილ ბალანჩივაძე, ვარლამ ჩხიკვაძე, ანდრონიკაშვილი.
1938 წ. 14 სექტემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 8 გვ.

96. გ. სამხარაძის (გ. გიასელის) პირადი ხასიათის წერილი ი. ზარდალიშვილისადმი.
პირი: იური სოკოლოვი, გ. ჯიბლაძე, დ. ანთაძე, შ. ხონელი, მ. სვანიძე.
1938 წ. 9 ოქტომბერი. მოსკოვი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

97. ა. ყურაშვილის წერილი ი. ზარდალიშვილისა და დ. ანთაძისადმი, პირად საკითხებთან დაკავშირებით.
1938 წ. 9 ნოემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

98. გალაქტიონ კირვალიძის წერილი ი. ზარდალიშვილისადმი პირად საკითხებთან დაკავშირებით.
1938 წ. 17 დეკემბერი. თბილისი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

99. დ. გაგუას წერილი ი. ზარდალიშვილისადმი ქუთაისის თეატრთან დაკავშირებით.
პირი: აკ. ვასაძე, დ. ანთაძე, შ. ხონელი, ც. ამირეჯიბი.
1938 წ. 28 დეკემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

100. შ. ხონელის პირადი ხასიათის წერილი ი. ზარდალიშვილისადმი.
1939 წ. 4 იანვარი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

101. ვ. დარასელის წერილი ი. ზარდალიშვილისადმი გაზეთ „პრავდაში“ დაბეჭდილი ცნობის შესახებ და პიესა „კიკვიძის“ დაწერასთან დაკავშირებით.
1939 წ. 20 იანვარი. როსტოვი. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.

102. შ. დადიანის წერილი ი. ზარდალიშვილისადმი, ქუთაისში იუბილეს მოწყობასთან დაკავშირებით.
1939 წ. 21 იანვარი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 2 გვ.

103. შ. დადიანის პირადი ხასიათის წერილი ი. ზარდალიშვილისადმი.
1939 წ. 2 მარტი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 1 გვ.

104. სერგო გერსამიას წერილი ი. ზარდალიშვილისადმი ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით.
1939 წ. 7 აპრილი. თბილისი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

105. უცნობის წერილი ი. ზარდალიშვილისადმი, უკრაინის ქალაქებში რუსთაველის თეატრის გასტროლებთან და სპექტაკლების „არსენასა“ და „ოტელოს“ წარმატებასთან დაკავშირებით.
1939 წ. 27 ივლისი. ხარკოვი. ხელნაწერი. მელანი. 4 გვ.

106. დ. ანთაძის წერილი ი. ზარდალიშვილისადმი გასტროლების საქმის მოგვარებასთან დაკავშირებით.
პირი: ალტმანი.
1939 წ. 28 ნოემბერი. ავტოგრაფი. ფანქარი, 2 გვ.

107. მარგო (გვარი მითითებული არ არის) წერილი პირად საკითხებზე იუზა ზარდალიშვილისადმი.
1940 წ. 29 მაისი. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

108. ვასო ბალანჩივაძის წერილი ი. ზარდალიშვილისადმი დესპინე ივანიძისა და ლიზა გვეტაძის შესახებ.
1940 წ. 16 ივნისი. ბათუმი. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

109. ვასო ბალანჩივაძის წერილი იუზა ზარდალიშვილისადმი თეატრის ისტორიასა და ქუთაისის თეატრის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებული კითხვების შესახებ.
პირი: ი. გველესიანი, ვარლამ ჭილაძე, მ. მარჯანიშვილი, ფეფიკო (ეფემია) მესხი, რიჟამაშვილი, კირილე ლორთქიფანიძე, მოსე ქიქოძე, კალისტრატე ჩიკვაიძე, იაკობ ჩიმაკაძე, ივანე პურადაშვილი, ნუცა ჩხეიძე, ნატო მესხი, დავით მესხი, შალვა დადიანი, მიხაკო ჯანიევი, ანდრო მურუსიძე, ვასო აბულაძე, ვ. ჩხიკვაძე, იმედაშვილი[ალექსანდრე].
1940 წ. 18 ივნისი. ბათუმი. ავტოგრაფი. მელანი. 7 გვ.

110. ნ. გამყრელიძის წერილი ი. ზარდალიშვილისადმი გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ დაბეჭდილი ქუთაისის თეატრის 60 წლის იუბილესადმი მიძღვნილ სტატიაში დაშვებულ შეცდომებთან დაკავშირებით.
პირი: ვიქტორ გამყრელიძე, ნ. ჯავახიშვილი, ჯიბლაძე.
1940 წ. 20 ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.

111. ბ. კვიცარიძის წერილი ი.ზარდალიშვილისადმი, მამის, პ. კვიცარიძის ბიოგრაფიულ ცნობებთან დაკავშირებით.
1940 წ. 29 ივნისი. ხელნაწერი. წითელი მელანი. 2 გვ.

112. დ. ანთაძის წერილი ი. ზარდალიშვილისადმი ქუთაისის დასის მომზადებასა და სეზონის დროულად გახსნასთან დაკავშირებით.
1940 წ. 22 ივლისი. ავტოგრაფი. ფანქარი. 1 გვ.

113. ვ. მურღულიას წერილი ი. ზარდალიშვილისადმი თეატრის წარმატებულად მუშაობასა და პიესის „დამნაშავეა?“ გაგზავნასთან დაკავშირებით.
1940 წ. 21 ოქტომბერი. სტალინირი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

114. თამროს (ი. ზარდალიშვილის მეუღლის) პირადი ხასიათის წერილი ი. ზარდალიშვილისადმი.
(?) 4 მარტი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

115. ელიოზის (გვარი მით ითებული არ არის) წერილი იუზა ზარდალიშვილისადმი, ცნობების გაგზავნასთან დაკავშირებით.
(?) 7 მარტი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 1 გვ.

116. თამროს (ი. ზარდალიშვილის მეუღლის) პირადი ხასიათის წერილი ი. ზარდალიშვილისადმი.
(?) 30 მაისი. ავტოგრაფი. შავი მელანი. ფანქარი. 2 გვ.

117. თამროს (ი. ზარდალიშვილის მეუღლის) პირადი ხასიათის წერილი ი. ზარდალიშვილისადმი.
(?) 17 ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

118. ცაცა ამირეჯიბის პირადი ხასიათის წერილი იუზა ზარდალიშვილისადმი.
(?) 28 ივლისი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

119. დ. ანთაძის წერილი ი. ზარდალიშვილისადმი ქუთაისის თეატრში კონფლიქტურ სიტუაციასთან დაკავშირებით.
პირი: ვ. კინწურაშვილი, შ. ქარცივაძე.
(?) 28 ივლისი. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.

120. გ. მომცემლიძის წერილი ი. ზარდალიშვილისადმი „რკინიგზის თეატრში" სამუშაოდ მოწვევასთან დაკავშირებით.
პირი: ნ. მაჭავარიანი, ვანო ბარველი, გრიშა კოსტავა.
(?) 26 აგვისტო. ავტოგრაფი. ფანქარი, 4 გვ.

121. ცაცა ამირეჯიბის პირადი ხასიათის ბარათი ი. ზარდალიშვილისადმი.
(?) 22 ოქტომბერი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

122. ჯუმბერ კუტივაძის წერილი ი. ზარდალიშვილისადმი პოეტ რაჟდენ ჩიკვაიძის შესახებ ცნობების მოძიებასთან დაკავშირებით.
პირი: ი. გრიშაშვილი.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

123. ნადია სირბილაძის პირადი ხასიათის წერილი იუზა ზარდალიშვილისადმი.
პირი: შალვა ხონელი, ვასო აბაშიძე.
უთარიღო. ავტოგრაფი. იწყება მე-5 გვერდიდან. მელანი. 8 გვ.

124. დედის პირადი ხასიათის წერილი ი.ზარდალიშვილისადმი.
უთარიღო. ავტოგრაფი. შავი მელანი. 1 გვ.

125. დ. მესხის წერილი ი. ზარდალიშვილისადმი.
პირი: კ. მესხი, ქიქოძე, ელენე პეტრიაშვილი, ვასილ ბალანჩივაძე, კოლა ბადრიძე, მ. ბოლქვაძე, ნ. გამრეკელი, სიმონ გამრეკელი, მაშო ჩხეიძე, დესპინე ივანიძე, დია ჩიანელი.
უთარიღო. ავტოგრაფი. ლურჯი და შავი მელანი. 4 გვ.

## ღია ბარათები

126. იოსებ გრიშაშვილის ღია ბარათი იუზა ზარდალიშვილისადმი პირად თემებთან დაკავშირებით.
1925 წ. ავტოგრაფი. ფანქარი. 1 გვ.

127. უცნობის ბარათი ი. ზარდალიშვილისადმი პირად საკითხებზე.
1926 წ. 20 ოქტომბერი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

128. გრიშა თევზაძის პირადი ხასიათის ღია ბარათი ი. ზარდალიშვილისადმი.
1930 წ. 14 აპრილი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

129. ი. გრიშაშვილის ღია ბარათი ი. ზარდალიშვილისადმი ქართული თეატრის ისტორიის დასაწერად ძველი ჟურნალ-გაზეთების გაგზავნასთან დაკავშირებით.
1931 წ. 21 იანვარი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 1 გვ.

130. იოსებ გრიშაშვილის ღია ბარათი ი. ზარდალიშვილისადმი ჟურნალ-გაზეთებისა და პიესა „ციმბირელის“ თაობაზე.
1933 წ. 14 ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

131. ი. გრიშაშვილის ღია ბარათი ი. ზარდალიშვილისადმი სპექტაკლის „გაყრის“ თბილისში პირველად, 1850 წლის 2 იანვარს გამართვასთან დაკავშირებით.
პირი: დიმიტრი ყიფიანი, დიმიტრი ბაქრაძე.
1937 წ. 5 ოქტომბერი. ტფილისი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

132. ი. გრიშაშვილის ღია ბარათი ი. ზარდალიშვილისადმი, ქუთაისის თეატრში დადგმულ წარმოდგე-ნებთან დაკავშირებით.
პირი: კოტე მესხი.
1938 წ. 19 იანვარი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

133. ი. გრიშაშვილის ღია ბარათი ი. ზარდალიშვილისადმი „სტალინელის“ ექსპედიციასთან დაკავშირე-ბით (საქმიანი ბარათი).
1938 წ. 25 იანვარი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

134. ი. გრიშაშვილის ღია ბარათი ი. ზარდალიშვილისადმი, კეშელევას ლექსის მოწონებასთან დაკავში-რებით.
პირი: ონისიძე.
1938 წ. 17 მარტი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

135. ი. გრიშაშვილის ღია ბარათი ი. ზარდალიშვილისადმი პირად საკითხებთან დაკავშირებით.
1938 წ. 5 ივლისი. ავტოგრაფი. მელანი. 1გვ.

136. ი. გრიშაშვილის ღია ბარათი ი. ზარდალიშვილისადმი, ჟურნალ-გაზეთების გამოგზავნასთან და აკაკის საიუბილეო საღამოს სამზადისის შესახებ.
1940 წ. 7 ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

137. ი. გრიშაშვილის ღია ბარათი ი. ზარდალიშვილისადმი, ქუთაისის თეატრის შესახებ მასალების გაგ-ზავნასთან დაკავშირებით.
1940 წ. 16 ოქტომბერი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

138. ი. გრიშაშვილის ღია ბარათი ი. ზარდალიშვილისადმი, „ინდუსტრიული ქუთაისის“ გამოწერასთან დაკავშირებით.
1941 წ. 14 იანვარი. თბილისი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 1 გვ.

139. ი. გრიშაშვილის ღია ბარათი ი. ზარდალიშვილისადმი, სპექტაკლის „ვიდრე ჰხვალ, უფალო“ დადგმასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.
1941 წ. 5 ივნისი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 1 გვ.

140. ი. გრიშაშვილის ღია ბარათი ი. ზარდალიშვილისადმი, მ. ქორელის ალმანახების, თეატრის პროგრა-მების, წიგნების გამოგზავნასთან დაკავშირებით.
1941 წ. 18 ოქტომბერი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 1 გვ.

141. დ. ანთაძის ღია ბარათი ი. ზარდალიშვილისადმი, წარმოდგენების ხარისხის შესახებ.
(?) 13 ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

142. შ. ხონელის პირადი ხასიათის ბარათი ი. ზარდალიშვილისადმი.
(?) 29 დეკემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 1 ც.

143. სანდრო შანშიაშვილის ბარათი იუზა ზარდალიშვილისადმი პირად საკითხებზე.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

144. უცნობის ბარათი პირად საკითხებზე იუზა ზარდალიშვილისადმი.
პირი: მ. სარაული, შ. ხონელი, ა. ყალაბეგიშვილი.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

145. ვ. მურუსიძის ბარათი ი. ზარდალიშვილისადმი, მადლობის წერილი პიესის „დამნაშავეა?“ გაგზავნასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ავტოგრაფი. შავი მელანი. 1 გვ.

146. ნადია სირბილაძის პირადი ხასიათის ბარათი ი. ზარდალიშვილისადმი.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

147. ნინო ჩიხლაძის პირადი ხასიათის ღია ბარათი ი. ზარდალიშვილისადმი.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

148. შალვა ბოჭორიშვილის პირადი ხასიათის ღია ბარათი ი. ზარდალიშვილისადმი.
უთარიღო. ავტოგრაფი. წითელი მელანი. 1 გვ.

149. ი. გრიშაშვილის ღია ბარათი ი. ზარდალიშვილისადმი ალმანახების შენახვასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ავტოგრაფი. შავი მელანი. 1 გვ.

150. ი. გრიშაშვილის ღია ბარათი ი. ზარდალიშვილისადმი.
პირი: დიმიტრი ბაქრაძე.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

151. ი. გრიშაშვილის ღია ბარათი ი. ზარდალიშვილისადმი, ქუთაისში გამოცემული ჟურნალ-გაზეთების გამოგზავნასთან დაკავშირებით.
პირი: დათიკო ბოკერია, პროკოფი ასკანელი.
უთარიღო. ავტოგრაფი. შავი მელანი. 1 გვ.

## სარეკლამო ფურცლები, პროგრამები

152. იუზა ზარდალიშვილის საბენეფისო საღამოს პროგრამა. ქართული თეატრი. შექსპირის „ჰამლეტი“.
1913 წ. 27 დეკემბერი. სტამბური. 1 ც.

153. იუზა ზარდალიშვილის და იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებითი საღამოს სარეკლამო ფურცელი.
1914 წ. სტამბური. 1 ც.

154. იუზა ზარდალიშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლის იუბილეს აღსანიშნავი საღამოს სარეკლამო ფურცელი.
1925 წ. ქუთაისი. სტამბური. 2 ეგზ. 1 ც.

155. ქართული დრამატული მსახიობების მიერ, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის იუზა ზარდალიშვილისადმი მიზღვნილი საღამოს პროგრამა. წარმოდგენილი იყო სპექტაკლი „ჰამლეტი“ (უილიამ შექსპირი), ჰამლეტის როლში ი. ზარდალიშვილი.
1936 წ. სტამბური. 3 ეგზ). 1 ც.

## მოსაწვევი ბარათები

156. ი. ზარდალიშვილის საბენეფისო მოსაწვევი ბარათი, სომეხთა კაცთმოყვარე საზოგადოების დარბაზი, პიესა „სიმახინჯე“.
1916 წ. 21 თებერვალი. სტამბური. 1 ც.

157. იუზა ზარდალიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოს მოსაწვევი ბარათი.
1973 წ. 6 დეკემბერი. სტამბური. 2 ც.

## ლექსები

158. ვ. დარასელის ლექსი მიძღვნილი ი. ზარდალიშვილისადმი.
1933 წ. 12 დეკემბერი. როსტოვი. ავტოგრაფი. ფანქარი, 1 გვ.

159. უცნობი ავტორის ლექსი, მიძღვნილი ი. ზარდალიშვილისადმი.
უთარიღო. ნაბეჭდი. 1 გვ.

160. ალ. შანიძის ლექსი „წინ, ძმებო გამარჯვებისთვის".
უთარიღო. ავტოგრაფი. შავი მელანი. 2 გვ.

161. ლექსი „წინ, ძმებო გამარჯვებისთვის".
უთარიღო. ავტოგრაფი. შავი მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 3 გვ.

162. პატრიოტული ლექსები მეორე მსოფლიო ომზე.
უთარიღო. ავტოგრაფი. შავი მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე, 2 გვ.

## დეპეშები

163. ბეჟანიშვილის დეპეშა თბილისში ჩასვლასთან დაკავშირებით.
1912 წ. 3 სექტემბერი. რუსულ ენაზე. 1 ც.

164. რონდელის დეპეშა შ. დადიანისადმი, სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით.
1912 წ. 8 სექტემბერი. ნაბეჭდი. 1 ც.

165. თბილისის თეატრალური დასის მისალოცი დეპეშა შ. დადიანისადმი, ახალი სეზონის გახსნასთან დაკავშირებით.
1912 წ. 16 სექტემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

166. ხარაზოვის პირადი ხასიათის დეპეშა შ. დადიანისადმი.
1912 წ. 19 სექტემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

167. ქართველოვის დეპეშა შ. დადიანისადმი მესხიევის თბილისში გაშვებასთან დაკავშირებით.
1912 წ. 16 ოქტომბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

168. კავსაძის და ჭრელაშვილის მადლობის დეპეშა ი. ზარდალიშვილისადმი.
1912 წ. 13 ნოემბერი. რუსულ ენაზე. 1 ც.

169. ქუთაისის სახელმწიფო თეატრის დეპეშა მსახიობების ყალაბეგიშვილის, ღოღობერიძის, ჩხიკვაძისა და მგალობლიშვილის ახალ სეზონზე თეატრის დასში მოწვევასთან დაკავშირებით.
1912 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

170. შ. დადიანის პირადი ხასიათის დეპეშა.
1912 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

171. ლევანის (გვარი მითითებული არ არის) დეპეშა შ. დადიანისადმი ბათუმში ჩასვლასთან დაკავშირებით.
1912 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

172. ქართული თეატრალური დასის დეპეშა შ. დადიანისადმი, მსახიობი ნებიერიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.
1912 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

173. სავარაუდოდ ი. პურადაშვილის დეპეშა (არ იკითხება დაზიანების გამო).
1912 წ. ხელნაწერი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 1 ც.

174. ბაქრაძის პირადი ხასიათის დეპეშა ი. ზარდალიშვილისადმი.
1927. 11 ივლისი. ბლანკი. ხელით შევსებული. ფანქარი. 1 გვ.

175. [კონსტანტინ] ზახაროვის პირადი ხასიათის დეპეშა შ. დადიანისადმი.
წ. (?) 18 სექტემბერი. ხელნაწერი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 1 ც.

176. ვ. გუნიას ავადმყოფობასთან დაკავშირებული დეპეშა შ. დადიანისადმი.
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

177. ჭუმბურიძის დეპეშა ი. ზარდალიშვილისადმი ქუთაისის თეატრის დასში ახალ სეზონზე არ მოწვევასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ნაბეჭდი. 1 ც.

178. ალექსანდრე ტუგანოვის მოკითხვის დეპეშა ი. ზარდალიშვილისადმი.
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

## იუზა ზარდალიშვილის გარდაცვალებასთან

## დაკავშირებული მასალა

179. იუზა ზარდალიშვილის გარდაცვალებიდან 10 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს სტენოგრაფიული ანგარიში.
1953 წ. 15 ივნისი. ნაბეჭდი. აკინძული. 18 გვ.

180. საქართველოს სსრ სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის მიერ გაცემული ცნობა იუზა (იოსებ) ფრანცის ძე ზარდალიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.
პირი: ვლადიმერ იოსების ძე სტანიშევსკი (იუზა ზარდალიშვილის ვაჟი).
1955 წ. 6 სექტემბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.

## სხვადასხვა

181. მეორე გილდიის ვაჭრის კონსტანტინ ხარაზოვის განცხადება ქუთაისის ქალაქის მმართველობისადმი შენობის იჯარით აღებასთან დაკავშირებით.
1879 წ. 21 აგვისტო. ქუთაისი. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

182. კონსტანტინე სტეფანეს ძე ხარაზიშვილის განცხადება ქალაქის თვითმმართველობისადმი თეატრის შენობისთვის მიწის იჯარით გადაცემასთან დაკავშირებით.
1879 წ. 21 აგვისტო. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე.1 გვ.

183. ქართული თეატრის მოყვარულთა საზოგადოების წევრთა თხოვნა ქუთაისის ქალაქის მმართველობისადმი ქუთაისის თეატრის შენობასთან დაკავშირებით.
პირი: ბ. ხარაზოვი, სიმონ გამრეკელი, ს. გოგოლაშვილი, ლ. მესხი, ნ. მაღრაძე, ვ. გაბიჩვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ონისიმე მინდელი, ილია ჭყონია, ვ. ჭილაძე.
1883 წ. 13 მაისი. ხელნაწერი. მელანი. 5 გვ.

184. პრინც კონსტანტინ ოლდენბურგის სახელზე გაცემული საბუთი პაატა გოცირიძისგან მიწის შესყიდვასთან დაკავშირებით.
1894 წ. 16 ივნისი. ხელნაწერი. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

185. ქართული დრამატული საზოგადოების სცენისმოღვაწეთა წესების წიგნი.
1908 წ. სტამბური. 34 გვ.

186. ქუთაისის სამაზრო მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება მსახიობთა ჯგუფისთვის ჯამაგირის მომატების შესახებ.
1923 წ. 19 აპრილი. ნაბეჭდი. ასლი. 2 გვ.

187. ქუთაისის მაზრის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება მსახიობ ი. ზარდალიშვილთან დადებული ხელშეკრულების შესახებ.
1923 წ. 4 მაისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

188. განცხადება გაზეთ „სტალინელის" რედაქტორ ცხაკაისადმი, ქუთაისის თეატრში მსახიობთა სურათების ჩამოხსნასთან დაკავშირებით.
პირი: ვასო აბაშიძე, მაკო საფაროვა-აბაშიძე, ნატო გაბუნია-ცაგარელი, კოტე ყიფიანი, ვალერიან გუნია, აბაკელია, ჯაფარიძე, თ. ჭუმბურიძე.
1934 წ. 30 დეკემბერი. ხელნაწერი. მწვანე მელანი. 1 გვ.

189. ქართული დრამის კოლექტივის განცხადება კოლექტივის მიერ დადგმულ პიესებთან და სახელმწიფო დოტაციის მიღებასთან დაკავშირებით.
1936 წ. 20 ნოემბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.

190. ქუთაისის ქართული თეატრის მსახიობთა ამხანაგობის და ქუთაისის საზოგადეობის კრების ოქმის ასლი.
1937 წ. 21 სექტემბერი. ნაბეჭდი. 6 გვ.

191. ალ. ბეთანოვის სტატიის ასლი „ქუთაისს – საკუთარი თეატრი" (გაზეთიდან ამონარიდი).
პირი: დ. ხარაბაძე, ო. გველესიანი, ქუშიტაშვილი, ვ. აბაშიძე, ვ. მგალობლიშვილი.
1937 წ. 21 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 2 გვ.

192. გეგმა-ცხრილი, ქუთაისის სახელმწიფო თეატრის მუშა-მოსამსახურეებთან ლექციების ციკლის გატარების შესახებ.
1939 წ. ნაბეჭდი. 2 გვ.

193. ქუთაისის სახელმწიფო აკადემიური დასის 1924-1925 წლების სეზონის მსახიობთა და რეპერტუარის სია.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. ფანქარი. 7 გვ.

194. ქართული დრამის კოლექტივის განცხადება ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივნისადმი დოტაციის მიღებასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

195. უცნობი ავტორის ლექსი „ღამე არა მაქვს ძილი", ი. ზარდალიშვილის პირადი ხასიათის მინაწერით.
უთარიღო. სტამბური. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

196. „ვაი-ვუის" კუპლეტები.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. ფანქარი, შავი მელანი. 11 გვ.

197. ლადო მესხიშვილის რეჟისორული ექსპლიკაცია სპექტაკლისთვის „მორევში". ი. ზარდალიშვილის ავტოგრაფით.
უთარიღო. ხელნაწერი. ფანქარი, 3 გვ.

## იუზა ზარდალიშვილის ფოტოარქივი

1. იუზა ზარდალიშვილი ახალგაზრდობაში. პორტრეტი. 7X11. ორიგინალი. 2 ც.
2. ი. ზარდალიშვილი ახალგაზრდობაში. პორტრეტი. ავტოგრაფით. 1 ც
3. ი. ზარდალიშვილი ახალგაზრდობაში. პორტრეტი. ს. მეჩნიკოვის ფოტო. 11X15. 1 ც.
4. ი. ზარდალიშვილი ახალგაზრდობაში. პორტრეტი. ორიგინალი ავტოგრაფით. 8X13. 1 ც.
5. ი. ზარდალიშვილი ახალგაზრდობაში. პორტრეტი. ა. მიხაილოვის ფოტო ავტოგრაფით. 10X13. 2 ც.
6. ი. ზარდალიშვილი ახალგაზრდობაში. პორტრეტი. ა. მიხაილოვის ფოტო. 11X17. 6 ც.
7. ი. ზარდალიშვილი ახალგაზრდობაში. პორტრეტი. 13X19. ასლი. 1 ც.
8. ი. ზარდალიშვილი ახალგაზრდობაში. პორტრეტი. 9X11. ასლი. 1 ც.
9. ი. ზარდალიშვილი შუახნის ასაკში. პორტრეტი. 12X18. ასლი. 1 ც.

10. ი. ზარდალიშვილი ახალგაზრდობაში. მთელი ტანით. 7X14. საფოსტო ბარათი. 3 ც.
11. ი. ზარდალიშვილი ახალგაზრდობაში. პორტრეტი. 11X17. ასლი. 2 ც.
12. ი. ზარდალიშვილი ახალგაზრდობაში. პორტრეტი. 12X17. 8X11. ასლი. 2 ც.
13. ი. ზარდალიშვილი შუახნის ასაკში. პორტრეტი. 18X26. 9X13. ასლი. 2 ც.
14. ი. ზარდალიშვილი შუახნის ასაკში. პორტრეტი. 25X30. ასლი. 1 ც.
15. ი. ზარდალიშვილი შ. ღამბაშიძესა და აკ. ვასაძესთან ერთად. 11X17. ასლი. 3 ც.
16. ი. ზარდალიშვილი და ლ. მესხიშვილი. 11X17. ასლი. 1 ც.
17. ი. ზარდალიშვილი, ვასო აბაშიძე და კოტე მესხი მეუღლით. 8X13. ორიგინალი. 1 ც.
18. ი. ზარდალიშვილის პირველი მეუღლე გაიანე. 7X9. ორიგინალი. 1 ც.
19. ი. ზარდალიშვილი და გალაკტიონ ტაბიძე. 11X17. ასლი. 1 ც.
20. სხედან: ვეჩე ჯიქია, ი. ზარდალიშვილი, აკ. ვასაძე, დგანან: აკაკი ფაღავა, პავლე კანდელაკი. 11X!5 11X17. ასლი. 2 ც.
21. ი. ზარდალიშვილი, პაშა შოთაძე და დუდე ძნელაძე. 13X17ასლი. 1 ც.
22. თბილისის ქართული დრამის მსახიობები: ნატალია ჯავახიშვილი, ნიკო შალიკაშვილი, ი. ზარდალიშვილი. 8X13. ასლი.1 ც.
23. ვ. ბარველი, გ. გურული, ა. ჩხეიძე, ს. ჯაფარიძე, შ. ღამბაშიძე, ც. ამირეჯიბი, ვ. არაბიძე, ლ. ფანიაშვილი, ი. ზარდალიშვილი მატარებლის ვაგონში. 13X17. ორიგინალი. 1 ც.
24. „ჟან და მადლენა“ ი. ზარდალიშვილი კაპროს როლში. ა. მიხაილოვის ფოტო. 12X18. 1 ც.
25. „მშობლიურ ჭერქვეშ“ ი. ზარდალიშვილი პასტორის როლში. 11X17. ასლი. 2 ც.
26. „მეფე ლირი“. ი. ზარდალიშვილი ედგარის როლში. 11X17. ასლი. 2 ც.
27. „ებრაელი ყობო“. ი. ზარდალიშვილი ებრაელის როლში. 11X17. ასლი. 2 ც.
28. „უბედური ნაბიჯი“. ი. ზარდალიშვილი და გ. მდივანი. სცენა სპექტაკლიდან. ა. მიხაილოვის ფოტო. 11X15. 2 ც.
29. „რევიზორი“. ი. ზარდალიშვილი – ბიჭი, დ. ჩარკვიანი – ხლესტიაკოვი. 12X18. ორიგინალი. 4 ც.
30. „ჟან და მადლენა“. ი. ზარდალიშვილი – კაპრო. 12X17 11X17. ასლი. 2 ც.
31. „ედმონდ კინი“. ი. ზარდალიშვილი – მეზღვაური. 10X17. ასლი. 2 ც.
32. „სიმახინჯე“ ი. ზარდალიშვილი – საბა. 11X17. ასლი. 2 ც.
33. „ოტელო“. ი. ზარდალიშვილი – იაგო. 8X11. ასლი. 1 ც.
34. ი. ზარდალიშვილი ქუთაისის თეატრის სცენაზე. 10X15. ორიგინალი. 1 ც.
35. ი. ზარდალიშვილის როლები. ფოტომონტაჟი. 1912 წ. 12X18. ორიგინალი. 2 ც.
36. ი. ზარდალიშვილი შუახნის ასაკში. პორტრეტი. 3X9. ორიგინალი. 2 ც.